ხელშეკრულება N02/50/56
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
საბიუჯეტო სახსრებიდან კონკურსის საშუალებით

ქ. თბილისი **25 ივნისი 2015 წელი**

ერთის მხრივ,
ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“
წარმოდგენილი დირექტორის თემურ თორდინავას სახით,
მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ.29/29ა,
საიდენტიფიკაციო კოდი: 404905475
სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22
ანგარიშის # GE24NB0330100200165022
(შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ,
შპს „არტსტუდიო-პროექტი“
წარმოდგენილი დირექტორის ირენე სკალვინის სახით,
მისამართი: ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, გ. ტაბიძის ქ., 3/5;
Tel:995 599 700300 ირინე სკალვინი;
995 599 541281 გიორგი სულაბერიძე;
e-mail: info@artstudio.ge
საიდენტიფიკაციო კოდი: 204489393;
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“;
IBAN: GE05BG0000000119334000;
(შემდგომში „მიმწოდებელი“)

იმის გათვალისწინებით, რომ „შემსყიდველმა“ ჩაატარა **კონკურსი #1638 საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვაზე**, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა „მიმწოდებლის“ საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმად „მიმწოდებელმა“ აიღო ვალდებულება გაუწიოს „შემსყიდველს“ ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე: **31 500.00 ლარი (ოცდათერთმეტიათასხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით)** შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“.

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) – „შემსყიდველ“ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა“ ორგანიზაციამ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უწევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს სამუშაო დღეს, კვირას, თვეს.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **ქ. თბილისში, ჩიტაიას ქუჩის #6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.16.01.017.005) განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება** დანართი #1 შესაბამისად.

2.2 CPV კოდი - **713 20000 საინჟინრო-საპროექტო მომსახურება**.

2.3 ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

3. მიწოდების პირობები და ვადები

3.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია შემსყიდველს წარმოუდგინოს შემდეგი:

- არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი;
- არქიტექტორული პროექტი (მუშა დოკუმენტაციით);
- ტოპოგრაფიული გეგმა 1:500 (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, არსებობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების ჩვენებით) ხელმოწერილი და დამოწმებული შესაბამისი ფორმით.
- საინჟინრო გეოლოგიური კვლევა;
- ვერტიკალური დაგეგმარება და ეზოს შემოღობვისა და კეთილმოწყობის პროექტი დენდროლოგიის გათვალისწინებით;
- კონსტრუქციული პროექტი:
- საინჟინრო ტექნიკური ნაწილი (გათბობა-ვენტილაცია, გაზმომარაგება, სანტექნიკა, წყალკანალიზაცია, ელექტროობა (გარე განათება) სუსტი დენები, სახანძრო სიგნალიზაცია, სანიაღვრე სისტემა, ვიდეო სათვალთვალო სისტემა).
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი.
- ხარჯთაღრიცხვა.
- გარე ქსელები, საკადასტრო კოდის 01.16.01.017.005 ნაკვეთის საზღვრებში (დენი, წყალი, კანალიზაცია, გაზი და სხვა).
- მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა სრულად უნდა შეესაბამებოდეს პროექტს.

3.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში წარმოადგინოს სრულყოფილი პროექტი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დადებითი დასკვნის ჩათვლით და (ელექტრონული ვერსია DWG/PDF-ის პროგრამაში და პროექტის ყველა შემადგენელი ფურცელი PDF ფაილის სახით. ხარჯთაღრიცხვა (EXCEL) და ნაბეჭდი სახით (3 ეგზემპლარი A3 ფორმატით) ერთი ელექტრონული ვერსიის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 8მბ.), რომელიც უნდა შეესაბამებოდეს, როგორც საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის # 57 დადგენილების 47 მუხლის მოთხოვნებს, ისე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით 2001 წლის 16 აგვისტოს №308/ნ ბრძანებას და შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

3.3 <u>„მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების მთლიანი პროექტის და სახარჯთაღრიცხვო ნაწილზე ექსპერტიზის ჩატარება დამოუკიდებელ ექსპერტთან - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან.</u>

3.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში მოუმზადოს „შემსყიდველს" საპროექტო დოკუმენტაცია შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანოს არქიტექტურულ სამსახურში წარსადგენად და შესაბამისი ნებართვების მისაღებად.

3.5 „მიმწოდებელი" ვალდებულია პროექტის რეალიზების პერიოდში განახორციელოს მიმდინარე სამუშაოების საპროექტო ზედამხედველობა და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები და დამატებები საპროექტო დოკუმენტაციაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთიანად, დამოუკიდებელი ექსპერტის - <u>სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს</u> დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდგომ.

4.2 „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომლებშიც აღნიშნული უნდა იყოს ღირებულება და შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან, ხელშეკრულების რეკვიზიტები, მიღება-ჩაბარების გაფორმების თარიღი და ადგილი.

4.3 მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირები არიან **ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს" ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის თანამშრომლები.**

5. ფასი და ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, დამოუკიდებელი ექსპერტის დადებითი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენის შემდგომ **20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.**

5.2 **მიმწოდებელი ვალდებულია საექსპერტო დასკვნაში აღმოჩენილი ნებისმიერი დეფექტი ან/და ხარვეზი გამოასწოროს გონივრულ ვადაში.**

5.3 ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

5.4 დაფინანსების წყარო: **ქ. თბილისის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები;**

5.5 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **31 500.00 ლარი (ოცდათერთმეტიათასხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით).**

5.6 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 „შემსყიდველს" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან მონიტორინგი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი".

6.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.

6.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

6.5 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს **ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს" ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის თანამშრომლები.**

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის" პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 „მიმწოდებელს" უფლება არ აქვს მოახდინოს შესრულებული პროექტის რეალიზება (განხორციელება) სხვა დამკვეთისათვის.

8.2 „მიმწოდებელმა" „შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3 თუ "მიმწოდებელი" ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, "შემსყიდველი" უფლებამოსილია:

9.3.1 შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და "მიმწოდებელი" ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს **<u>ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით.</u>**

9.3.2 განუსაზღვროს სამუშაოს დასრულებისათვის დამატებითი გონივრული ვადა, რა ვადაშიც "მიმწოდებელი" ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით.

9.4 თუ „შემსყიდველი" დარწმუნდება, რომ შეუძლებელია ვალდებულების შესრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და "მიმწოდებელი" დააჯარიმოს **ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.**

9.5 თუ "მიმწოდებელი" დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს ვალდებულების შესრულებას, „შემსყიდველი" წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და „მიმწოდებელი" ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება **ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.**

9.6 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.7 „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

9.7.1 თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

9.7.2 „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;

9.7.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.8 ზემოთ მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" ფაქტიურად შესრულებული სამუსაოების ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 პირობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული აღნიშნულ ხელშეკრულებაში, დარეგულირებული და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ენა

13.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება „მიმწოდებლისათვის" მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

14. შეტყობინება

14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 უცხოელი „მიმწოდებელი" პასუხს აგებს გასაწევი მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

15.2 ადგილობრივი „მიმწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2016 წლის 31 იანვრამდე.**

17. სხვა პირობები

17.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი „მიმწოდებელთან" და ერთი პირი „შემსყიდველთან"). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.4 დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

17.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"	**შპს „არტსტუდიო-პროექტი"**
404905475	
თემურ თორდინავა	ირენე სკალვინი

ტექნიკური პირობა

- საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა უნდა განთავსდეს:
  ჩიტაიას ქუჩა #6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.16.01.017.005) ფართი - 1583 კვმ. 2009 წლის 5 ივნისის საკრებულოს გადაწყვეტილების – ქ. თბილისი პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესაბამისად აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს საზოგადოებრივ საქმიანი ზონა - 2–ში, რომლის ქალაქმშენებლობითი პარამეტრებია:

  - მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი - 0,7
  - მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი - 4,6
  - მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი - 0,1

- ქ. თბილისის აღნიშნულ მისამართზე შენობის იერსახე (დიზაინი-ექსტერიერი) უნდა იყოს ჰარმონიაში ადგილობრივ ლანდშაპტთან (საჭიროების შემთხვევაში გამწვანებითი ღონისძიებების გატარება). პროექტის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნას:
- ბაგა-ბაღის ეზო კარგად სტრუქტურირებული და სრულად ათვისებული უნდა იყოს. მნიშვნელოვანია, რომ ეზოს მთლიან ტერიტორიას იყენებდნენ ბავშვები. ეზოს დაყოფის პროცესში შესაძლებელია, გამოიყოს შემდეგი ზონები: ეზოში შემოსასვლელი ტერიტორია, საქანელებსა და სასრიალოებზე სათამაშო ადგილები, ადგილი სპორტული აქტივობების/შეჯიბრებებისათვის, ქვიშაში სათამაშო ადგილი, მცენარეების ბაღი; ბაგა-ბაღის ეზოს დაგეგმვისას დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების მოთხოვნები. ეზოს საფარი უნდა იყოს უსაფრთხო და ემსახურებოდეს ბავშვის სხვადასხვა უნარების განვითარებას. ბაგა-ბაღის ეზოში არ უნდა შედიოდნენ პირდაპირ საავტომობილო მაგისტრალიდან.გარდა სამზარეულოს ბლოკიდან მისასვლელისა. მთავარი შესასვლელი სატრანსპორტო გზიდან ხელოვნური ბარიერით უნდა იყოს მოშორებული ან გამოყოფილი. ეზოში გათვალისწინებული უნდა იყოს სახანძრო მანქანის შემოსასვლელი.

  - შენობა უნდა იყოს საქართველოში არსებული უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში (გათვალისწინებული უნდა იქნეს განიერი კიბეები, უსაფრთხოების გასასვლელები და ა. შ.);
  - შენობის იატაკი, კედლები, კიბეები და პანდუსები ბავშვებისათვის საფრთხეს არ უნდა წარმოადგენდეს.
- ბავშვების თავშეყრის ადგილებში სასურველია, მოცურებისაგან დამცავი ზედაპირი იყოს დაგებული, რომელიც უსაფრთხოებას სველ მდგომარეობაშიც შეინარჩუნებს. იატაკზე ფეხის წამოსაკრავი არც ერთი ელემენტი არ უნდა არსებობდეს. კიდეები და პანდუსები არ უნდა იყოს სახიფათო გადაადგილებისთვის. საფეხურებს რომლებიც პრიალა მასალისაგან არის დამზადებული, არ უნდა ჰქონდეს ბასრი კიდეები და მოცურებისგან დამცავი სარტყელები უნდა ჰქონდეს გარშემო. კიბეებს ორივე მხრიდან უწყვეტი მოაჯირი უნდა მიჰყვებოდეს. თავშეყრის ადგილებში კედლებს, 2 მეტრის სიმაღლეზე, არ უნდა ჰქონდეს ბასრი კიდეები, წვეტიანი გამოშვერილი ნაწილები და სახიფათო დეტალები.
- ელექტრო გაყავანილობის სადენები ბავშვებისათვის ხელმიუწვდომელი უნდა იყოს. ბავშვი ვერ უნდა წვდებოდეს ჩამრთველებს. გარდა ამისა, ჩამრთველები აუცილებლად უნდა იყოს დაცული.
- სასურველია, რომ სამზარეულოს ოთახი იყოს ნათელი და ადვილად განიავდეს. კედლები უნდა იყოს ღია ფერის და ისეთი მასალით (მაგ.კაფელის ფილებით ან ნესტგამძლე სპეციალური საღებავით)

მოპირკეთებული, რომ იოლად გაირეცხოს. იატაკი ისეთი მასალით უნდა დაიფაროს, რომელიც გლუვიც იქნება და იოლადაც მოიწმინდება. ქურას განთავსებული უნდა იყოს სამზარეულოს შუაში. ქურის თავზე უნდა განთავსდეს სავენტილაციო გამწოვი. სამზარეულოში უნდა მოდიოდეს როგორც ცივი ასევე ცხელი წყალი.

- ყველა იმ ოთახის კარი, სადაც ბევრი ბავშვი იყრის თავს, იმ მიმართულებით უნდა იღებოდეს, საითაც ევაკუაციის შემთხვევაში აღსაზრდელებს გაიყვანენ. საევაკუაციო გზაზე დაუშვებელია მბრუნავი ან იმგვარი კარების განთავსება, რომელიც ორივე მიმართულებით იღება. შენობას სხვადასხვა წერტილში საევაკუაციო გასასვლელი უნდა ჰქონდეს ისინი ისეთ ადგილებში უნდა იყოს, რომ აღსაზრდელებმა იოლად და სწრაფად მიაგნონ. ოთახს სადაც ხანძრის რისკი დიდია (მაგ. სამზარეულო) მინიმუმ ორი გასასვლელი უნდა ჰქონდეს. კარი გარე მიმართულებით უნდა იღებოდეს და მათი შიგნიდან გაღება ნებისმიერ დროს იყოს შესაძლებელი.
- შენობის დაგეგმარებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საჭიროებები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის ბაგა-ბაღის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის, მნიშვნელოვანია, რომ კარის ზომები და პანდუსები გათვალისწინებული იყოს, რათა ეტლის მომხმარებელ ბავშვს ან მშობელს ბაგა-ბაღის შენობაში დამოუკიდებლად შესვლა და გადაადგილება შეძლოს. შენობის არც ერთ საჭირო სათავსოსთან არ უნდა იყოს ისეთი საფეხურები, რომლებიც ეტლის გადაადგილებას შეუშლის ხელს . დონეების სხვაობა ძირითადად პანდუსების საშუალებით უნდა რეგულირდებოდეს და არა საფეხურებით. (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილების შესაბამისად)
- კლიმატი ვენტილაცია (მნიშვნელოვანია ბაგა-ბაღში ტემპერატურის კონტროლი, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. ბავშვების ჯგუფების ოთახებში, დერეფნებში, სასადილოში და სხვა ოთახებში უნდა იყოს თანაბარი ტემპერატურა, მინიმუმ 18 და მაქსიმუმ 24 გრადუსი. იმ ოთახებში, სადაც ბავშვებს უწევთ ვარჯიში, ცეკვა და სხვა ფიზიკური აქტივობები, შესაძლებელია , მინიმალური ტემპერატურა 15 გრადუსი იყოს, ბავშვების საძინებელ ოთახებში კი-16-18 გრადუსი.)
- ბაგა-ბაღის ოთახები სასურველია, რომ მზიანი იყოს და ბუნებრივი განათება ჰქონდეს.
- საპირფარეშოში უნდა იყოს საბავშვო უნიტაზები, რომ ბავშვს მისი დამოუკიდებლად მოხმარება შეეძლოს, უნიტაზზე ჯდომისას ბავშვის ფეხები იატაკს უნდა სწვდებოდეს. ხელსაბანი ისეთი სიმაღლე უნდა იყოს რომ აღსაზრდელს დამოუკიდებლად შეეძლოს ხელების დაბანა.

ბაგა-ბაღის სივრცითი მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:

1. ჰოლი
2. მუსიკალური დარბაზი
3. სამედიცინო ბლოკი
4. ბაგა-ბაღში ბავშვებისათვის განკუთვნილი ჯგუფები (ბაგა 2-3 წლიანი, რაოდენობა - 1):

- შემოსასვლელი ზონა - სადაც ბავშვი იცვლის ფეხზე და იხდის ქურთუკს;
- ჯგუფის ოთახი - სადაც ბავშვები თამაშობენ, სწავლობენ, მიირთმევენ საჭმელს და ატარებენ დროის უმეტეს ნაწილს;
- საძინებელი თახი;
- საპირფარეშო, ხელსაბანი ჭუჭლის სარეცხი ოთახი

5. ბაგა-ბაღში ბავშვებისათვის განკუთვნილი ჯგუფები (ბაღი 3-6 წლიანი, რაოდენობა - 6):
   შემოსასვლელი ზონა - სადაც ბავშვი იცვლის ფეხზე და იხდის ქურთუკს;
   - ჯგუფის ოთახი - სადაც ბავშვები თამაშობენ, სწავლობენ, მიირთმევენ საჭმელს და ატარებენ დროის უმეტეს ნაწილს;
   - საპირფარეშო, ხელსაბანი;
     ჭუჭლის სარეცხი ოთახი;

6. ცალკე მდგომი შენობა:
   - სამზარეულო;
   - პროდუქტების საწყობი;
     ბოსტნეულის საწყობი;

   - საკანცელარიო და სამეურნეო ნივთების საწყობი;
   - დირექტორისა და სხვა სპეციალისტების კაბინეტი;
   - ჩამოწერილი ინვენტარის საწყობი;
   - საპირფარეშო, მომსახურე პერსონალისთვის; სამრეცხაო ბლოკი;

7. ბაგა–ბაღის სართულიანობა განისაზღვროს 2 სართულით, (ბავშვების რაოდენობა 260-მდე)

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“	**შპს „არტსტუდიო-პროექტი“**
თემურ თორდინავა	ირენე სკალვინი